№ 129

შაბათი, 17 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 129

შაბათი, 17 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეკატერინე გრიგოლის ასული სულხანიშვილისა ქალები-თურთ და კნეინა ანასტასია იესეს ასული ჩოლოყაშვილი-სა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელის ქმრისას, მეორენი დაუვიწყარის მამისას და მესამე ძვირფასის ძმისას ექიმ ს სტატსკი სოვეტნიკის

## მიხეილ იესეს ძის სულხანიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გასასვენებლად საკუთარ სახლიდგან, ელისაბედის ქ. № 31, წმინდა ნიკოლოოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთში) და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ შაბათს, 17 ივნისს, დილის $9^1/_2$ საათზედ. პანაშვიდი —15 და 16 ივნისს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ. (3 – 3)

---

პელაგია მიხეილის ასული სარაჯიშვილისა, ნინო მიხეილის ასული მაჭავარიანისა, კნეინა ქეთევან მიხეილის ასული ვაჩნაძისა და მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი, ივანე ნიკოლოოზის ძე მაჭავარიანი, თავ. კონსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი საყვარელის მამისას და მეორენი დაუვიწყარის სიმამრისას სტატსკი სოვეტნიკის ექიმის

## მიხეილ იესეს ძის სულხანიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გასასვენებლად საკუთარი სახლიდგან, ელისაბედის ქ. № 31, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში (ჩუღურეთში) და იქიდგან კუკიის სასაფლაოზედ შაბათს, 17 ივნისს, დილის $9^1/_2$ საათზედ.

პანაშვიდი—15 და 16 ივნისს საღამოს $7^1/_2$ საათზედ. (3—3)

---

ზაქარია მიხეილის ძე საფაროვი აცნობებს ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 ივნისს, სოფ. მარტყოფში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი მისის განსვენებულის მეუღლის

## ანნა გიორგის ასულის საფაროვის

სულის მოსახსენებლად, რომლის შემდეგაც განსვენებულის სამარეს ძეგლს დაადგმენ. (1—132—1)

---

### „ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

## ქუთაისის ჭაცვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—18)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ვ. ზ. წერეთელი,** 6—8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში; ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

---

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 16 ივნისს, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგმა ბ ნმა სტევენმა დილით დაათვალიერა მუშტაიდის ბაღი და შემდეგ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბაღოსნო სკოლა, ხოლო საღამოს 5 საათზედ—ტფილისის საბოტანიკო ბაღი. დღეს ბ-ნი სტევენი ყარაიის დასათვალიერებლად მიდის, საიდგანაც დაბრუნების შემდეგ დაათვალიერებს თავ. ზ, ერისთავისაგან ხაზინაზედ გადაცემულ ოძისის მამულს. ხვალ, კვირას, 18 ივნისს, მინისტრის ამხანაგი ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრება, სადაც, სხვათა შორის, დაათვალიერებს საქარის სანერგეს, ჩაქვის ჩაის პლანტაციებს და შემდეგ ბათუმ-ნოვოროსიისკით რუსეთს წავა.

*** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს ზოგიერთი საეკკლესიო და ისტორიული წიგნი დაჰბეჭდოს. ამ აზრით ყოვლად უსამღვდელოესს ეპისკოპოსს გურია-სამეგრელოისას ალექსანდრეს 2,200 მან. შეუწირავს. ჯერ-ჯერობით განზრახულია დაჰბეჭდონ: 1) „საეკკლესიო საგალობლე-

---

# ფელეტონი

### უცხოთა შორის

კიდევ ჩინეთის შესახებ: მცხოვრებნი, ძუნგ-ლი-იამენი, მინისტრები და გუბერნატორები.—ჩინეთის ჯარი.—მეურნეობა: ყანები კლდეებსა, ტბებსა და მდინარეებზედ.—ჩინელი ვაჭარი.—სიღარიბე და მუშები ჩინეთში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინეთმა ყველანი აალაპარაკა. რამდენიმე ცხარე ბრძოლა უკვე მოხდა ჩინელებსა და სახელმწიფოთა შეერთებულ ჯარს შორის, ამიტომ ეს ერთი კვირაა ამ ბრძოლისა და, საზოგადოდ, ჩინეთის ამბების გარდა დეპეშა სხვა სამსოფლიო ამბებისათვის ვეღარც-კი იცლის. გაზეთები ხომ სავსეა ჩინეთისა და ჩინელების ამბებით. მეტი ღონე არ არის, ჩვენც ეს დღევანდელი ფელეტონი ისევ ჩინელებს უნდა შევსწიროთ.

დღემდის დაჭეშმარიტებით არავინ იცის ჩინეთის მცხოვრებთა რაოდენობა; ან-კი ვის ეცოდინება, როდესაც თვით ჩინეთის მთავრობა ამისათვის არა ზრუნავს და სხვა-კი, რაღა ლაპარაკი უნდა, ვერ მოახერხებს ამ უზარმაზარ სახელმწიფოს მცხოვრებთა რაოდენობის შეტყობას და გამოანგარიშებას. ბევრი ადგილია ჩინეთში ისეთი, სადაც ევროპიელთ ჯერ ფეხი არ შეუდგამთ და, აბა, გულითაც რომ მოისურვონ, როგორ შეიტყობენ, რამდენი მცხოვრებია იქ? ჰფიქრობენ, რომ დაახლოვებით ამ იმპერიის მიწა-ადგილისა და მცხოვრებთა რაოდენობა შემდეგი უნდა იყოს: 1, საკუთრივ ჩინეთს, რომელიც 18 პროვინციას შეიცავს, უჭირავს 3,500,000 ოთხ-კუთხი კილომეტრი; მცხოვრებთა რიცხვი იქ 380 მილიონამდეა; 2, მანჯურიას, საიდგანაც აწინდელი სამეფო გვარეულობაა, უჭირავს 900 ათასი ოთხ-კუთხი კილომეტრი, მცხოვრებია 8 მილიონი; 3, მონგოლიას უჭირავს 3,200,000 ოთხ-კ. კილომ., მცხოვრები 2 მილიონია; 4, ტიბეტს—1,600,000 ოთხ-კ. კილ., მცხოვრები 6 მილიონია; და 5, აღმოსავლეთ თურქესტანსა და ჯუნგრიაშიაც 2 მილიონი მცხოვრებია. ამ რიგად სულ ჩინეთში 400 მილიონამდე მცხოვრები იქმნება.

ამ უზარ-მაზარ სახელმწიფოსა და უთვალავს ხალხს იმპერატორის მეთაურობით განაგებენ სახელმწიფო საბჭო (ძუნგ-ლი-იამენი) და მინისტრები. მინისტრების სიმრავლით ჩინეთს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება. სამხედრო, საზღვაო, სჯულის საქმეთა, ფინანსთა, გზათა და სხვა ჩვეულებრივ მინისტრების გარდა, ჩინეთში არიან განსაკუთრებული მინისტრებიც ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, ცერემონიებისა, სასაფლაოებისა და სხვათა. სხვათა შორის ცერემონიების სამინისტროს ვალდებულებაა დღესასწაულების დაწესება, ეგზამენების დანიშვნა, სამუსიკო პიესების შედგენა დღესასწაულებისათვის და სხვა. თვითეული სამინისტრო შეიცავს განყოფილებებს და დეპარტამენტებს. ამ მხრივ ჩინეთის სახელმწიფო დაწესებულებანი ძალიანა ჰგვანან ევროპის ბიუროკრატიულ სახელმწიფოთა, მაგალითად, რუსეთის, დაწესებულებებს.

პროვინციებს განაგებენ გუბერნატორები ანუ ვიცე-კოროლები. არის ჩინეთში ისეთი პროვინცია ანუ გუბერნია, რომელიც მცხოვრებთა რიცხვით გერმანიასა და საფრანგეთს არ ჩამოუვარდება. ვიცე-კოროლებს პროვიციებში მართა-გამგეობის საქმე ისევე აქვთ მოწყობილი, როგორც პეკინში იმპერატორს: მათაცა ჰყავთ მინისტრები, აქვთ დეპარტამენტები და სხვანი. ცალკე ოლქების გამგეებად ვიცე-კოროლები მანდარინებს ნიშნავენ და ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო წვრილ მოხელეებს ამწესებს.

* * *

სწორედ გასაკვირველია, რა ძალა აერთებს და აკავშირებს ამ უდიდეს სახელმწიფოს? გასაკვირველია ეს მით უფრო, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში სამხედრო ძალაზედ არ არის დამყარებული და თავისი უზარმაზარი პროვინციები ჯარის შემწეობით არა აქვს გამაგრებული. ჩინეთში არა ერთხელ მოუწადინიათ სამეფო გვარეულობის გადაყენება და სხვა გვარეულობის გამეფება, მაგრამ არც ერთხელ არც ერთს პროვინციას არ განუზრახავს განშორება და ცალკე სამეფოს დაარსება.

ბი მე-X საუკუნისა“ მიქელ მიდრეკილისა, 2) „ნომ-კანონი“ (7 მსოფლიო კრებისა და ზოგიერთა ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი), 3) „შატბერდის კრებული“ მე-X საუკ. და 4) „მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილება“, რომელიც მეათე საუკუნეშია გადათარგმნილი ევთიმე ათონელის მიერ.

⁂ ამ წლისათვის კავკასიის დედათა ინსტიტუტში სულ 8 სახელმწიფო ვაკანსიაა გახსნილი. ადგილობრივ მცხოვრებთაგან უკენჯოდ მიღებულ იქმნა ორი ობოლი: აზნ. ჩხეიძის ასული ანნა და აზნ. ბილანაშვილის ასული თამარი. დანარჩენ ექვს თავისუფალ ადგილზედ კენჭი უყარეს მთხოვნელებსა და მიღებულ იქმნენ: თავ. ჩერქეზიშვილის ასული თამარი, თავ. ხერხეულიძის ასული თამარი, თავ. ხიდირბეგოვის ასული ელენე და აზნ. მერგველაშვილის ასული ეკატერინე. ყველა ეს ახლად მიღებული ქალები უთუოდ 5 სექტემბერს უნდა წარადგინონ ინსტიტუტში. არსებულის წესით, თუ რომ სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულს მოწაფეს, ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებს, ერთის თვის განმავლობაში არ წარადგენენ, ან-და სამის თვის განმავლობაში იმას, ვინც სხვა გუბერნიიდგან არის, მაშინ სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულთა სიიდგან გამორიცხულ იქმნება უთუოდ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს ამიერიდგან უფლება ეძლევა კავკასიის ქალაქების არა ქრისტიანე ხმოსნებისა და რწმუნებულთა რიცხვი თავისის სურვილით გაადიდოს მიუხედავად ამ საგნის შესახებ არსებულ ქალაქის დებულების მე-44 მუხლისა.

⁂ 11 ივნისს ქუთაისის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წევრთა; კრებას დაესწრო ოც-და-ოთხი წევრი, რომელთაც ამოირჩიეს ამხანაგობის გამგეობის წევრნი: მმართველად გ. ი. გველესიანი, ადმინისტრატორად—დ. ავალიანი, ხაზინადრად თ. მთავრიშვილი და მდივნად დ. ბ. მდივანი.

⁂ 7 ივნისს ცნობილს მოგზაურსა და არქეოლოგს ბარონ დე-ბაის პარიჟში წაუკითხნია ლექცია ტფილისისა, იქ მცხოვრებთა და ისტორიულ ნაშთების შესახებ.

⁂ ხუთშაბათს, 15 ივნისს, კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ტფილისში კარგად ცნობილი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი.

⁂ გელიოსის წარმომადგენელს ბ-ნს მირზოევს უკვე ხელი მოუწერია ქალაქის ელექტრონით განათების პროექტზედ. ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულს კრებაზედ განხილვის შემდეგ ეს პროექტი ქალაქის საბჭოს წარედგინება.

⁂ კავკასიის დედათა ინსტიტუტის მოწაფენი დღეს, 17 ივნისს, მიდიან კოჯორში საზაფხულოდ წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი 12 ივნისს წავიდა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობას განზრახვა თურმე აქვს ქ. გორის ბორანი ს. ახალდაბას დაუთმოს იმ პირობით-კი, რომ გორიდგან თავისის ხარჯით ჩაიტანონ, გამართონ და მერე ხალხი უფასოდ გადაიყვანგადმოიყვანონ ხოლმე.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია წესი იმის შესახებ, თუ სხვილფეხი საქონელი და ცხვარი როგორ უნდა გადარეკონ ხოლმე შავის ზღვისა, ქუთაისისა, განჯისა, ტფილისის გუბერნიებსა და ყარსის ოლქში. აღნიშნულ გუბერნიების გუბერნატორებმა უკვე დაგზავნეს ამის შესახებ განსაკუთრებული განცხადებები სოფლის მცხოვრებთა საყურადღებოდ.

⁂ რუსეთის ელექტონის საზოგადოების „უნიონის“ წარმომადგენელს ბ-ნს ბატილს უკვე პირობა შეუკრავს სათავად-აზნაურო თეატრისა და ქარვასლის მმართველ კომისიასთან იმის შესახებ, რომ აღნიშნული თეატრი და ქარვასლა ელექტრონით გაანათოს. ელექტრონის სადგურს, რომელსაც აღნიშნული საზოგადოება გაჰმართავს, ექმნება 300 ცხენის ძალა და შეუძლიან 3,500 ლამპარს ეყოს. გარდა ამისა ფირმა პირობას იძლევა, როდესაც ქალაქი თავისს ელექტრონის სადგურს გაჰმართავს, „უნიონის“ აბონენტებს 10⁰/₀ ნაკლებად დაეთმოს, ვიდრე ქალაქი აიღებს. „უნიონის“ აბონენტები იქნებიან სარაჯიშვილის სავაჭრო სახლი, თამამშევის ქარვასლა, ზუბალოვი და სხ.

⁂ „მთავრობის კანონდებათა და განკარგულებათა კრებულის“ № 62-ში გამოქვეყნებულია, რომ 1) ქ. ფოთს ნება ეძლევა ორი მილიონის მეორე სობლიგაციო სესხი გამოსცეს და 2) კავკასიის III სამთო ოლქის ინჟენერმა და იმისმა თანაშემწემ ტფილისში უნდა იცხოვრონ.

⁂ თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის საყოველთაო მიწერილობისა, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს წინადადება წარუდგენია ქალაქის თვით მმართველობაში, რომ ქალაქის ბაზრებში ერბოთი ვაჭრობას საგანგებო ყურადღება მიაქციონ და სასტიკად ადევნონ თვალ-ყური ნამდვილის ძროხის ერბოს და ნებადართულ მარგარინის მაგიერად კონშერეული ძროხის ერბო ან მარგარინი არა ჰყიდონ.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილის-ყარსის ნაწილში საკანტროლო სადგურებად გამოცხადებულ არიან: ტფილისი, ყარაკლისი, გუმბრი და ყარსი. გარდა ამისა გამოცხადებულია, რომ სადგურებს: სოღანლუღსა, კალაგერანსა, შაგალსა, ჯაჯურსა, ბაშ-ყადიკლარსა და სტავკა-მაცრაში მგზავრთა გადმოსხმა არ შეიძლება.

⁂ შაბათს, 18 ივნისს, მთავარმართებლის საბჭოს უკანასკნელი სხდომა ექნება.

⁂ ამ დღეებში დაამტკიცეს დებულება მელიორატიულ კრედიტის შესახებ; სამეურნეო საჭიროებათათვის სესხის გაცემის საქმე მინდობილი აქვს მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო ეკონომიის განყოფილებას. თუ რომ სესხი 5,000 მან. აღემატება, მაშინ ცენტრალურ გამგეობის საგანგებო კომიტეტმა უნდა განიხილოს შუამდგომლობა.

⁂ შავის-ქვის მწარმოებელთა საბჭოს კავკასიის სამთო სამმართველოში შუამდგომლობა წარუდგენია, რომ 26 ივნისისათვის გადადებული შავის-ქვის მწარმოებელთა კრება 26 ივლისისათვის იქმნას დანიშნული. ეს შუამდგომლობა სამთო სამმართველოს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისათვის გაუგზავნია.

⁂ ქ. ქუთაისი. წელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა დაასრულა ორმოც-და-ექვსმა მოსწავლემ, რომელთა შორის ოც-და-თერთმეტი ქართველია, თორმეტი რუსი, ერთი ბერძენი, ერთი ებრაელი და ერთიც პოლონელი. ოქროს მედალი მიიღო ვლასოვმა (რუსმა), ვერცხლისა—სულაქველიძემ და ისკონიცკიმ. სახელი და გვარი სწავლა შესრულებულ ქართველთა: პეტრე აბაშიძე, სიმონ ავალიანი, გრიგოლ ამაშუკელი, გრიგოლ ალშიბაია, ვასილ არდიშვილი, მელიტონ არიშიძე, ვასილ ბერეჟიანი, ვლადიმერ გობეჩია, იოსებ გობეჩია, გრიგოლ დადიანი, ილია დანელია, ალექსანდრე კანდელაკი, ვარლამ კანდელაკი, გიორგი მგელაძე, მიხეილ მდივანი, კაპიტონ მეუნარგია, დავით მიქელაძე, კონსტანტ. მოდებაძე, ალექსანდრე ნიკიტინი, ამბერკ საყვარელიძე, ამბროსი სვანიძე, კონსტანტინე სულაქველიძე, ვარლამ ფაღავა, ნიკოლოზ ქუთათელაძე, ლევან თუმანიშვი[ლი], ივანე ჩხიკვიშვილი, სევერიან ჭო[...] შვილი, ვარლამ შავდია, რა[...] შუშანია, ალექსანდრე მიქელ[...] კონსტანტინე ანჯაფარიძე. ეს [...] უკანასკნელი ექსტერნები იყვნე[ნ].

⁂ მარგანეცის მწარმოებელთა მე[...] მე კრებაზე განსახილველად, რო[მე]ლიც ქ. ქუთაისში მოხდება 26 [ივ]ნისს, დანიშნულია შემდეგი საგნ[ები]: 1) კრების მდივნის არჩევა; 2) [კრე]ბის საბჭოს, სარევიზიო კომის[იი]სა და ვაგონების გამანაწილებელ კ[ო]მიტეტის მოხსენებანი; 3) განხი[ლვა] და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხ[ვისა]; 4) ქუთაისის საგუბერნიო მმარ[თვე]ლობის მიერ საბჭოსთვის ჭიათუ[რის] ქსენონის გადაცემა და მუშათა [...] მუდმივ საავადმყოფოს დაარსება; [...] კრებისათვის საჭირო მიწების შე[...] და საჭირო შენობების აგება; [...] მთავრობის მიერ დანიშნულ შტ[...] გერებისათვის ჯამაგირის მომატ[ება]; 7) მარგანეცის ხირისხებად დაყო[ფის] პროექტი და მარგანეცის გასყიდ[ვის] გაუმჯობესება; 8) ტეხნიკურ კო[მი]ტეტის დაარსება მარგანეცის მა[...] ბის დასაცველად; 9) გზა ტკეცი[...] ბის გაკეთება და გაუმჯობესება; 1[0)] ჭიათურის „პოსადად“ დამტკიც[ება] და საქალაქო მმართველობის შე[მო]ღება შემოკლებულის წესით; 1[1)] ჭიათურაში მომრიგებელ სამოსამა[r]თლოს დაარსება; 12) სტატისტი[კუ]რი ცნობანი მარგანეცის გაზიდ[ვის] შესახებ; 13) შტეიგერთა ინსტიტ[უ]ტის რეორგანიზაცია; 14) სამაღ[...] პოლიციის რეორგანიზაცია; 1[5)] საპენსიო კასსის ანუ მუშათა დ[...] ზღვევ საზოგადოების დაარს[ება] და საზოგადოდ მუშათა მდ[გო]მარეობის გაუმჯობესება; 16) [...] მთო სასწავლებლებში სტიპენდი[...] ბის დანიშვნა პირველ კრების დ[ად]გენილებისა თანახმად; 17) გადასახ[...] დავ მარგანეცზე ¼ კაპ. გარდასახ[...] დის დანიშვნა; 18) საკითხი იმის შ[...]

---

ჩინეთს იმდენად მცირე და უძლური ჯარი ჰყავს, რომ წინააღმდეგობას ვერც-კი გაუწევდა იმ პროვინციას, რომელიც განშორებას განიზრახავდა.

ყოველ წლიწადს ჩინეთი ჯარზედ 150—200 მილიონ მანეთსა ჰხარჯავს. როგორც მთავრობის ქაღალდებშია აღნიშნული, ეს ჯარი ერთ მილიონ კაცისაგან უნდა შესდგებოდეს; ნამდვილად კი ბრძოლის დროს, თუ გაუწვრთნელ ბრბოებს არ ჩავთვლით, 100,000 გაწვრთნილის ჯარის-კაცის გაყვანაც-კი არ შეუძლიან.

ჩინეთის ჯარი ორ ნაწილად განიყოფება. ერთს საიმპერატორო, ევრედ წოდებული „რვა დროშიანი“ ჯარი შეადგენს. ეს ჯარი ქაღალდზედ 350,000 კაცი ითვლება, ნამდვილად-კი იგი სულ 40 კაციც ძლივს იქმნება. ამ ჯარის საუკეთესო ნაწილს ის 6000 კაცი შეადგენს, რომელნიც იმპერატორის ამალაში ითვლებიან. დანარჩენი რაზმები ამ ჯარისა მანჯურიაშია. მეორე ნაწილს პროვინციის ჯარი შეადგენს. ეს ჯარიც ქაღალდზედ 18 კორპუსი ითვლება (თითო პროვინციაში თითო კორპუსი) სულ 700,000 კაცი, მაგრამ დიდი, დიდი ამ ჯარისა საჭიროების დროს 100,000 კაცი შეიკრიბოს.

უმთავრესად ჩინეთის ჯარი მაწანწალა და ულუკმა-პუროდ დარჩენილ კაცებისაგან შესდგება. ჩინელების თვალში ჯარს დიდი პატივი და სახელი არა აქვს. სამხედრო მანდარინებსაც, ესე იგი გენერლებს, ჩინელები ბევრად დაბლა აყენებენ სამოქალაქო მანდარინებზედ. როგორც ვუწყით, ჩინეთში რამე თანამდებობის მიღება მხოლოდ შესაფერის ეგზამენის დაჭერის შემდეგ შეიძლება. სამხედრო ეგზამენებზედ ყოველთვის უფრო უნიჭონი და სხვა საქმეში გამოუსადეგარნი გამოცხადდებიან ხოლმე. მომავალმა მანდარინმა სამღვთო წიგნების ცოდნის გარდა, უნდა იცოდეს ცხენზედ ჯდომა და შვილდ-ისრის ხმარება. საუკეთესო თანამდებობას ჯარში იმას აძლევენ, ვინც უფრო მძიმე ქვას ასწევს. აშკარაა, ასეთ აფიცერს ბევრი არაფერი მოეთხოვება.

ზემოდა ვთქვით, ქაღალდზედ ჯარი ამდენი და ამდენია აღნიშნული, ნამდვილად კი იმის მეათედიც არ არისო. მანდარინებს ხაზინიდგან ყოველთვის ეძლევათ იმდენი ფული, რაც ქაღალდზედ აღნიშნულ ჯარის შესანახად არის საჭირო, მაგრამ ისინი ფულს ჯიბეში იდებენ და 50,000 კაცის ნაცვლად 5000 კაცს ინახავენ. ერთს გენერალსა ჰკითხეს პეკინში, რამდენ ჯარის-კაცს უფროსობთო?—ათი-ათასსაო, მიუგო. მართლაც, გენერალს 10,000 კაცისათვის საკმაო ფული და სურსათი ეძლეოდა, სულ-კი 800 კაცი ჰყოლია. ჩინეთის მთავრობა ყოველ წელიწადს ათასობითა და ათი-ათასობით იწერავს ევროპიდგან თოფებს, მაგრამ ეს თოფები სადღაცა ჰქრება, და აღლუმის დროს ჯარის-კაცებს თოფების ნაცვლად უბრალო ჯოხები უჭირავთ ხოლმე.

ჩინეთს ჭკუა ვერც იაპონიის მიერ დამარცხებამ ასწავლა. მის დროს ყველაფერი გამოირკვა. გამოირკვა, რომ ჯარი მცირეა, რაც არის, ისიც არ ვარგა, ჯარის-კაცებმა თოფის სროლა არ იციან და სხვა; მაგრამ ჩინეთი მაინც თავისას არ იშლის და მთავრობა უწინდელებრ დროგამოშვებით აცხადებს ხოლმე თავისს ოფიციალურ „პეკინის გაზეთში“, რომ ამა და ამ მანდარინს ასეთი და ასეთი ჯილდო მიეცა შვილდ-ისრის კარგად ხმარებისთვისაო. რაღა ლაპარაკი უნდა, ასეთი ჯარი, ისიც უმთავრესად შვილდ-ისრებით შეიარაღებული, ევროპის ზარბაზნებთანა და მსწრაფლ-მსროლელ თოფებთან ბევრს ვერაფერს გააწყობს.

***

აშკარაა, რომ ჩინელი მეომარი არ არის, რომ თოფის სროლა, ბრძოლა ბუნებითვე ეჯავრება. იგი უფრო მშვიდობის მოყვარე კაცია, შრომას და გარჯას შეჩვეული. შრომა და მუშაობა-კი ჩინელს მართლა რომ ძალიან უყვარს.

ჩინელებისათვის უმთავრესს სახსარს ცხოვრებისას მეურნეობა შეადგენს. თუმცა ჩინეთში ადგილის საოცარი სივიწროვეა, ისეთი, როგორსაც სხვაგან მთელ დედა-მიწის ზურგზედ ვერსად შეჰხვდებით, მაგრამ მაინც ჩინელი თავს არ ანებებს თავისს ერთ ნაჭერს მიწას და იმდენს ერთგულებას იჩენს, იმდენს ჰმეცადინეობს, რომ ამ პატარა მიწით ლუკმა-პურს შოულობს. საოცარია ამ შემთხვევაში ჩინელების მუყაითობა. ბევრგან გორები და კლდეები გაავაკეს და სახნავ-ადგილებად გადააქციეს. ასეთ კლდეებზედ მიწა ძირიდგან ააქვთ, იქა ჰყრიან და შემდეგ ზედ სთესავენ, ეს კიდევ არაფერი. ჩინელმა ტბები და მდინარეებიც-კი გადააქცია სახნავ ადგილებად. ბევრგან ჩინეთში მშვენიერ სურათს შეხვდებით: გადაშლილ ტბაზედ ან მდინარეზედ აქა იქ ამწვანებული ყანები და ბოსტნები მოსჩანს. ჩინელები ტბაში უშველებელ ტივებს აკეთებენ (ამ ტივებს ბამბუკისაგან აკეთებენ), ზედ ჰყრიან მიწასა და ლამს და შემდეგ სთესენ პურს, ბრინჯს ან სხვა რამეს. ასეთის ყანისთვის გვალვა საშიში არ არის. თუ ვინიცობაა ერთ ადგილას ტბაში წყალმა ძალიან იკლო ან სრულიად დაშრა, ყანა სხვა ადგილას გადააქვთ.

არც ჭაობებია დაუმუშავებლად დატოვებული. ჭაობებში ძალიან ხარობს ბრინჯი, ამიტომ ვერც ერთ ჭაობს ვერ შეჰხვდებით ჩინეთში, რომ ბრინჯით დათესილი არ იყო[ს]. დილით საღამომდე ჩინელი მუცლ[ამ]დის წყალშია და გულ-მოდგინ[ედ] უვლის ბრინჯის ყანებს. საზოგად[ოდ] ჩინეთში ერთ ნაჭერს მიწას ვე[რ] იპოვნით უპატრონოდ დატოვებულ[ს] და დაუმუშავებელს. ამასთან ჩინელ[ი] ყოველ ხერხსა ჰხმარობს, რომ რა[ც] შეიძლება მეტს გამოარჩეს მიწას. არა[ს]ოდეს ჩინელი ადგილს ერთს რა[მე] მცენარეს არ მოაწონებს, თუ პუ[]რი დასთესა, როდესაც ეს პური წ[ა]მოიზდება, ჩინელი აქა იქ ყანა[ში] მუხუდოსა სთესავს. შემდეგ როდ[ე]საც პური დამწიფდება, მკის მაგ[ი]რად ძირიანად ჰგლეჯავს და იმ[] ადგილას ცერცვსა სთესავს. ამ რი[გა]დ ერთსა და იმავე ყანაში ჩინელ[ს] მოჰყავს პური, მუხუდო და ცერ[]ცვი.

მიწის მოვლა, გასუქება და და[]ტივებაც ძალიან იციან ჩინელებმა. რა[ც] უნდა მწირი ადგილი იყოს, ჩინელ[ის] ხელში იგი ნოყიერ და ნაყოფიერ[] ადგილად გადაიქცევა ხოლმე. [] საქმეში ჩინელებს მრავალ-საუკუნ[ოვა]ნ გამოცდილებამ ძალიან ბევრი შე[ას]ძინა. მიწის გასასუქებლად ჩინელე[ბი] ჰხმარობენ როგორც საქონლის, [ისე] რეთვე ადამიანის პატივს, ამას გა[რ]და სწვავენ ათასგვარ ნივთიერება[ს]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, ბრკოლდება თუ არა მარგანეცის გადაზიდვა რკინის გზით გაგზავნის დროს, ან ფოთის ნავთსადგურიდან წაღების დროს; 19) ბაქანების და ვაგონების განაწილების წესრიგი და 20) არჩევა კრების მოხელეთა: ა) საბჭოს თავმჯდომარისა, ბ) საბჭოს წევრებისა, ვ) სამთო საქმეთა საკრებულოში მარგანეცის მწარმოებელთა წარმომადგენლებისა, გ) ვაგონის გამანაწილებელი კომიტეტის წევრებისა და დ) მადნების დამცველ სატეხნიკო კომიტეტის წევრებისა, თუ ამგვარ კომიტეტის დაარსება საჭიროდ სცნო კრებამ.

*** საერო განათლების სამინისტროს ნება დაურთავს, რომ ბათუმის სავაჟო გიმნაზიასთან დაარსებულ იქმნას რეალური განყოფილება. ამ განყოფილებისათვის ბათუმის საქალაქო მმართველობამ თავის ხარჯით უნდა იქირაოს შენობა და, გარდა ამისა, ყოველ წლივ უნდა აძლიოს 6 ათასი მანეთი.

ამ რიგად ბათუმში ახლა სამი სასწავლებელია: კლასსიკური გიმნაზია, რეალური სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია.

*** ხუთშაბათს, 15 ივნისს, ღამის 11—12 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, ს თამამშევის სახლებს, სადაც სასტუმრო „პოლმირაა" მოთავსებული, გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი მოუდო სახლს ნიკოლოოზის ქუჩის მხრიდგან ზემოსართულს, სადაც ინჟენერი ბ-ნი მარკოზოვი სცხოვრობს. ცეცხლი კარგად იყო უკვე გაძლიერებული, როდესაც ცეცხლის მქრობელთა რაზმს შეატყობინეს. ნაშუადამევის 1 საათის 20 წამზედ უკვე გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და შეუდგნენ ცეცხლის ქრობას. მალე მოვიდა ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიოვი. ყოველგვარ განკარგულებას თვით პოლიცმეისტერი აძლევდა. ცეცხლი ნაშუადამევის სამს საათზედ ჩააქრეს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ ჩარდახის ერთს პატარა ოთახში ინჟენერ მარკოზოვის მოსამსახურე—მოსარეცხე ქალი ტანისამოსს თურმე აუთოვებდა. ქალს მაყალი დარჩენია იქ და ცეცხლი იმისაგან გაჩენილა.

*** კავკასიის რკინის გზის სადგურ ახალ-სენაკში 13 ივნისს საქონლის მატარებელს № 313 ვიღაც უცნობი დედა-კაცი გაუსრესია.

*** იმავე რკინის გზის სადგურ ქსანზედ, 15 ივნისს, მე-259 ვერსზედ, სამგზავრო მატარებელი № 7 ლიანდაგზედ გადამავალს გლეხის ქალს ნინო წიკლაურს წამოსწევია და შუაზედ გაუწყვეტია.

*** ხუთშაბათს, 15 ივნისს, საზაფხულო თეატრში მოლოროსთა დასის ცნობილის არტისტის ლ. ა. სუხოდოლსკის საბენეფისოდ წარმოადგინეს ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ყიდივკა კოხრესტკა"- წარმოდგენას ბევრი დაესწრო. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა.

*** ქალაქის ქუჩებისა და ეზოების გასაწმენდ-გასასუფთავებლად ნაგვის საზიდ ურმების მოწყობისა და ამისათვის ქალაქის მკვიდრ მცხოვრებლებზედ სავალდებულო გარდასახადის შემოღების შესახებ ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრების მიერ დამტკიცებულს პროექტს, რომლის შინაარსი ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით აღნიშნული, ქალაქის გამგეობა წარუდგენს ორშაბათს, 19 ივნისს, ქალაქის საბჭოს განსახილველად.

*** გუშინ, 16 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს 1 სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩა საქმე ელისაბედ ივანე ზუბალაშვილის ასულის—სტაროსელსკისისა და ტფილისის მომრიგებელ-მოსამართლის ნიკოლოზ დ. ზუბალაშვილისა, რომელიც სტაროსელსკისას უჩიოდა იმის შესახებ, რომ მან წერილით შეურაცხყოფა მომაყენაო. პირველად ეს საქმე ამ წლის მარტში განიხილა ქალაქის მე-2 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ; საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ორივეს წერილებით ერთმანერთისათვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა; მომრიგებელმა მოსამართლემ, იცნო რა ორივე მომჩივან მოპასუხე დამნაშავედ ერთმანერთის შეურაცხყოფაში, მოსპო ნ. ზუბალაშვილის საჩივარი. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი.

*** დ. ახალ-სენაკი. აქ უკვე დაიწყეს აბრეშუმის პარკის გაყიდვა. პარკის მსყიდველნი წელსაც ისევ ჩვენი ბერძნები არიან უმეტესად. მართალია, გარდა ბერძნებისა, ქართველებიც ყიდულობენ პარკსა, მაგრამ ესენიც ამათი აგენტები არიან. როგორც უმისოდაც, ახლაც ძალიან უჩივიან სასწორში მოტყუებასა. კარგი იქნებოდა ამ საქმისათვის აქაურს ადმინისტრაციას ყურადღება მიექცია და, შარშანდელივით, წელსაც საზოგადო სასწორი დაედგა. ამით საზოგადოებას დიდს სამსახურს გაუწევდა და სხვისის სიკეთით უსამართლოდ მოსარგებლეთაც შეაკავებდა. რჩეული და პირველი ხარისხის პარკი ფუთი 14 მანეთად იყიდება, უფრო დაბალის ღირსებისა—დაკლებულ ფასად.

## წერილი დ. ცხინვალიდგან.

ათს ამ თვეს, დილის ცხრა საათზედ, ტფილისის გუბერნატორის, ბ-ნის სვეჩინის მოლოდინში აურებელს ხალხს მოეყარა თავი ხიდზედ. ერთს მხარეს იყვნენ ჩამწკრივებულნი აქაურ ნორმალურ სკოლის მოსწავლენიც თავიანთის მასწავლებლებით. მაგრამ ბ-ნმა გუბერნატორმა შეიგვიანა და ამის გამო ბავშვები დაითხოვეს თავ-თავიანთ სახლში, ხალხიც დაიშალა. ბ-ნი გუბერნატორი ნაშუადღევის ორ საათზედ მობრძანდა და პურ-მარილი მიართვეს. რამდენისამე ხნის შემდეგ გუბერნატორს გამოეცხადნენ ადგილობრივნი მოხელენი. შემდეგ გუბერნატორმა დაიარა ეკკლესიები: ქართული და სომხური, ხიდი და ინახულა გზა, რომელიც ღარიბაშვილების სახლის წინ ჩადის და რომელიც ლიახვმა ისე დააზიანა, რომ თუ მალე არა უშველეს-რა, დიდ-ძალს მცხოვრებლებს დაანანიებს ხელს საცხოვრებელზედ და ცარიელს დასტოვებს. ამის შემდეგ სამკურნალოსკენ გაემგზავრნენ; აქ კარგა ხანს დაჰყო. სამკურნალოს წინ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვათა შორის იყვნენ დასეტყვილის ჭირნახულის ნამჯებითა და დამტვრეულის ვაზებით გლეხები. ერთს მხარეს იდგა თხუთმეტიოდე ცხენოსანი „სტრაჟნიკი". გამობრძანდა თუ არა სამკურნალოდგან, დაათვალიერა სათითაოდ ცხენები და იარაღი ჩაფრებისა. მორჩა ჩაფრების სინჯვასა და ახლა გლეხობას მოუბრუნდა, რომელთაც იქვე აუწერეს თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა, აჩვენეს ბუნების სტიქიონისაგან განადგურებული ჭირნახული და ვაზი და დახმარება სთხოვეს. გუბერნატორმა ყურადღებით მოუსმინა ყველას სათხოვარ-საჩივარი და უბრძანა: განვიხილავთ, გამოვიძიებთ თქვენს ვითარებასა და ვეცდებით, თუ შეიძლება, დავაკმაყოფილოთ ეგ თქვენი თხოვნაო. შემდეგ ამისა ცხინვალის საზოგადოების პირით მოხუცებულმა სომეხმა საჩინო პეტრეს ძე მურადოვმა სთხოვა, რომ ცხინვალს მიანიჭეთ ქალაქის უფლება-ღირსებაო. გუბერნატორმა უპასუხა: ცხინვალი არც დაბაა ჯერ და არც „პასადი"; მაშასადამე, ქალაქის უფლება და ღირსება საიდან მიენიჭებაო. ასეა თუ ისე, შემოიტანეთ თხოვნა, განვიხილავთ მაგ საქმესა და პასუხს გაცნობებთო. ამასთან, ვიდრე თხოვნას შემოიტანდეთ, კარგად მოილაპარაკეთ, საქმე საფუძვლიანად გასინჯეთ, რომ თქვენს შორის უთანხმოება არა მოხდეს-რა, რადგან სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენელნი, ქართველები, სომხები და ურიები სცხოვრობთო. თქვენის მხრივ ხომ მთხოვეთ, ახლა მეც მინდა გთხოვოთ ერთი რამ: სოფლებში ჰხსნით სამკურნალოებს, უკვე გავხსენით რამდენსამე ადგილას, სადაც სიამოვნებით კისრულობენ მცხოვრებნი მკურნალის, ფერშლებისა და სამკურნალოს ხარჯს. ცხინვალი-კი ბევრად დაწინაურებულია და ბევრით სჯობიან ამ სოფლებს, თქვენ-კი სახელმწიფო ხარჯითა გაქვთ სამკურნალო. თქვენ რომ იკისრებდეთ ხარჯს, რომელიც თქვენს სამკურნალოზედ ეხარჯება მთავრობას, მაშინ მთავრობა ამ ფულს სხვა სასარგებლო საქმეს მოახმარებს და თქვენი სასახელო იქნებაო!.. შემდეგ ამისა დაათვალიერა „სტრაჟნიკების" თავლა და მათი სადგომები. გამოუთხოვა ხალხს და იქნებოდა ნაშუადღევის ხუთი საათი, რომ სოფ. საღოლაშენისაკენ წაბრძანდა. თან ახლდნენ: მკურნალი ქიქოძე, კ. ამირეჯიბი, გორის მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე და სხვანი.

ჩხირკედელა

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** თან და თან ირკვევა, რომ ამ არეულობის დროს ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილებში მრავალი ქრისტიანე ჩინელი ამოუწყვეტიათ მეამბოხეთ. მარტო იუნ-ნან-სენში მოუკლავთ 600 ქრისტიანი. ამბობენ, სხვაგანაც ასობით ამოსწყვეტიაო.

— როგორც შანხაიდგან იუწყებიან, იქ წერილი მიუღიათ პეკინიდგან. წერილში იწერებიან თურმე, რომ პეკინში საოცარი არეულობა და ანარხიაო. პრინცმა ტუანმა დასწვა იმპერატორის სასახლე, მოჰკლა იმპერატრიცა და იმპერატორი და შემდეგ თვითაც მოიკლა თავიო. სხვანი იუწყებიან კიდევ, რომ იმპერატრიცა სადღაც დაიმალა და არავინ არ იცის, სად არის და სად არაო. ჰფიქრობენ, რომ თავი მოიკლაო. ხალხი სასახლეში შეცვივდა და აურებელ სიმდიდრის ძარცვა-გლეჯას შეუდგა, რის გამო დაუსრულებელი ჩხუბი, ჟლეტა და არეულ-დარეულობააო. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს იმის წყალო-

და შემდეგ ამ ნამწვს მინდორში ჰყრიან. ბევრგან განსაკუთრებულ ბალახსაც-კი სთესენ; ეს ბალახი მინდორში ლპება და მიწას ასუქებს.

ჩინელი აგრე რიგად ზეცასაც არ ენდობა, ამიტომ ურწყავ ადგილს ვერსად ვერა ჰნახავთ. მინდვრები არხებითა და რუებით არის აჭრელებული. ბევრგან წყალი მოხერხებულის მანქანებით გორებსა და კლდეებზედაც-კი აჰყავთ. უწყლო ხევებსა და ამოღრმავებულებზედ ხიდებივით გადებულია ბამბუკის მილები, რომლითაც წყალი ერთის ადგილიდგან მეორე ადგილში გაჰყავთ, იქ დიდ აუზებში აგროვებენ და შემდეგ როგორც უნდათ, ისე ხმარობენ.

ჩინეთში მოჰყავთ პური, ბრინჯი (ბრინჯის მოყვანას ძალიან მისდევენ), ყაყაჩო, რომლისაგანაც ოპიუმს აკეთებენ, ბამბა, შაქრის ლერწამი. მაგრამ ყველაზედ მეტად ჩინელები ჩაის ბუჩქის გაშენებასა და აბრეშუმის ჭიის მოშენებას მისდევენ. 1893 წელს ჩინეთიდგან გაიტანეს 61,200,000 მანეთის ჩაი და 50,000,000 მანეთის აბრეშუმი.

***

ჩინელები მეურნეობის გარდა ძალიან მისდევენ აგრეთვე ვაჭრობას და, როგორც ამბობენ, ამ საქმეშიაც დიდ ნიჭსა და უნარს იჩენენ. ვაჭრობაში პირველი ღირსება ჩინელისა ის არის, რომ, თუ ცოტაოდენ სარფას მაინცა ჰხედავს, ფულის დაზოგვა არ იცის. ჩინელი არასოდეს ფულს არ ინახავს, უქველად ატრიალებს და ერთი-ორად მეტს აგებინებს. ერთნაირის თანხის პატრონი ჩინელი და ევროპიელი რომ ავიღოთ, ევროპიელი არასოდეს ახალს საქმეს (ვაჭრობაში) იმდენს ფულს არ მოახმარებს, რამდენსაც ჩინელი. ხელს უწყობს ვაჭრობის საქმეში ჩინელს ისიც, რომ იქ სესხი, კრედიტი ადვილი საშოვარია: ბანკები ბევრია ჩინეთში.

მეორე ღირსება ჩინელ ვაჭრებისა ერთობა და ამხანაგობაა. ძვირად შეჰხვდებით ისეთს ოლქს, მაზრას, რომლის ვაჭრებიც ერთს სინდიკატს არ შეადგენდნენ. ასეთი სინდიკატი ანუ კავშირი ბევრსა ზრუნავს ვაჭრების სარგებლობისათვის. ჩინეთში სინდიკატი თითქმის ისეთსავე დაწესებულებას შეადგენს, როგორსაც ევროპაში სავაჭრო პალატები. სინდიკატი აწესებს სხვა-და-სხვა საქონლის მაზანდას, არჩევს ვაჭრების საქმეებს, ჰკრებავს გადასახადებს, ინახავს ცეცხლის მქრობელ რაზმებს და სხვას. ესევე სინდიკატები ზრუნავენ გაღარიბებულ ვაჭრებისა და ვაჭრების ობლებისათვის. ბევრს სინდიკატს საკუთარი შენობანი აქვს, სადაც საწყობებია საქონლისა, აქვს აგრეთვე თეატრები ვაჭრებისათვის წარმოდგენების გასამართავად და სხვა. დიდ სამსახურს სინდიკატები ვაჭრებს კიდევ იმით უწევენ, რომ მანდარინებს კრიჭაში უდგანან. როგორც მოგეხსენებათ, მანდარინები დიდი მექრთამე ხალხია. უმეტეს ნაწილად ისინი ვაჭრებს ეტანებიან, მაგრამ სინდიკატმა ბევრის მანდარინის თავ-გასულობა ალაგმა და ვაჭრების შევიწროება მოაშლევინა.

სესხის გასტუმრება ჩინელმა ვაჭარმა ყოველთვის პირნათლად იცის; ხშირად ფულის სესხების დროს თამასუქი საჭირო არც-კია. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩინელი ვაჭარი დიდ ოინბაზობასა და ეშმაკობას იჩენს საქონლის გასაღების დროს. არ შეიძლება ჩინელმა ვაჭარმა მუშტარი არ მოატყუოს: ან ცუდი საქონელი არ შეაპაროს, ან წონაში არ მოიპაროს, ან კიდევ სხვა რამ ეშმაკობა არ ჩაიდინოს. ვაჭარი, მაგალითად, შრომას არა ზოგავს, ნემსით აბრეშუმის პარკსა სჩხვლეტავს, შიგ პატარ-პატარა საფანტსა ჰყრის და ამით ამძიმებს პარკს. ამას გარდა ჩინელს ვაჭარს ყოველთვის ორი სასწორი აქვს: ერთი საქონლის სასყიდად, მეორე კიდევ გასასყიდად.

***

თუმცა ჩინეთი ასეთის მუყაითისა, მშრომელისა და მიხვედრილის ხალხით არის დასახლებული, მაგრამ ამ სახელმწიფოში მაინც დიდი სიღარიბე და გაჭირვებაა. ამბობენ, ყოველ წელიწადს ჩინეთში შიმშილისაგან 70,000 კაცი ესალმება წუთი სოფელსაო. ქალაქები სავსეა თურმე მათხოვრებით. გაჭირვებამ და შიმშილმა ჩინელ მათხოვრებსაც ასწავლა ჭკუა. ვაჭრებზედ ნაკლები ერთობა არც მათხოვრებსა აქვთ: იშვიათია თურმე ისეთი ქალაქი, რომლის მათხოვრებიც კავშირს არ შეადგენდნენ. კავშირს მეთაური ჰყავს, რომელიც დიდ უნარსა და ცოდნას იჩენს.

ასეთი სიღარიბე უმთავრესად მიწის სიმცირით აიხსნება. უმიწა-წყლოთა რიცხვი იქ რამდენსამე მილიონს აღემატება. ამ ბოგანოებს ქვეყანაზედ არაფერი არ გააჩნია, მათ თავის გამოკვება მხოლოდ დღიურის მუშაობით შეუძლიანთ, მაგრამ დღიური სამუშაო ჩინეთში იშვიათად მოიპოვება, რადგანაც მრეწველობა ჯერ განვითარებული არ არის და ქარხნები იქ არ არსებობს. ამიტომაა, რომ დღიურ მუშას იქ მეტად მცირე სასყიდელი ეძლევა: $2\frac{1}{2}$-დგან 5 კაპეიკამდე. იშვიათია, რომ მუშამ 5 კაპეიკზედ მეტი აიღოს დღეში. 5 კაპეიკით უნდა გამოჰკვებოს და შეინახოს მუშამ ცოლ-შვილი!

ტყვილად-კი არ არის ნათქვამი, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. გაჭირვებამ ჩინელს სხვა ქვეყნები მოანახვინა. ამ ბოლოს დროს ჩინელები ათასობით მიდიან სამუშაოდ ამერიკასა, ავსტრალიის კუნძულებსა და განსაკუთრებით ციმბირში. მას შემდეგ, რაც ციმბირში ოქროს მადნები აღმოაჩინეს და რკინის გზების გაყვანას შეუდგნენ, ჩინელები ამ კუთხეს კალიასავით შეესივნენ. ყველგან, სადაც-კი ჩინელი მუშა შევიდა, იქ ვეღარც ერთმა სხვა მუშამ ვეღარ იბოგინა. იქ, სადაც რუსი მუშა მანეთს იღებდა, ჩინელმა 20 და 25 კაპეიკამდე დასწია ფასი; რაღა ლაპარაკი უნდა რუსი მუშა ამ ფულით თავს ვერ შეინახავდა და მოედანს დაუთმობდა ჩინელს. ამ ჟამად მანჯურიის რკინის გზაზედ (ეს გზა რუსებს გაჰყავთ) 200,000 ჩინელი მუშაობს.

ამურისა და ჩინეთის მახლობლად მდებარე რუსეთის სხვა ოლქებში ჯერ ეხლავე ჩინეთის მუშაა გაბატონებული და ახლო მომავალში ხომ იგი სრულიად გასდევნის სხვა მუშებს. ეს გარემოება ძალიან აფიქრებს არა მარტო რუსეთსა, ევროპასაც-კი. რას იზამენ ევროპის მუშები, ეს ამოდენა დამშეული ხალხი რომ ჩინეთიდგან ევროპას შემოესიოსო? შეშფოთებულნი კითხულობენ ისინი. ხოლო დღეს თუ არა, ხვალ რომ შემოესევიან, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. ამ საქმეს დააჩქარებს, სხვათა შორის, აწინდელი ომი და ევროპის სახელმწიფოთა ის სურვილიც, რომ ჩინეთი ევროპას დაუახლოვოთ, განათლება და ვაჭრობა-მრეწველობა გავავრცელოთ იქაო.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, რომ ტელეგრაფი გაფუჭებულია და არავითარი ამბავი არ მოდის შეგინიდგან, მრავალი ასეთი უცნაური ხმები ვრცელდება თურმე ჩინეთში.

— ამბობენ, რომ აჯანყებაში და არეულობანი ანტი-ზე-გაანგის ოლქებშიაც დაიწყოო. დღემდის ეს ოლქები მონაწილეობას არ იღებდნენ „დიდის მუშტის" მიერ გამოწვეულ არეულობებში, ეხლა-კი იქაც გავრცელებულა ათასნაირი ხმა და ხალხი შფოთისა და უწესოებას მისცემია.

— შემდეგ დაწვრილებით ამბებს იუწყებიან გაზეთები ტაკუს აღების შესახებ: „როდესაც ტაკუს სიმაგრეებიდგან ჩინელებმა ევროპიელთა გემებს ყუმბარები დაუშინეს, გემის უფროსებმა ბრძანება გასცეს, ზღვაოსანნი ნაპირზედ გადაესხათ, და თვითაც დაუშინეს სიმაგრეებს ყუმბარები. ნაპირზედ გადასული ჯარი მალე შევარდა ქალაქში და ერთი სიმაგრე მეორეზედ აიღო. პირველი სიმაგრე იაპონელებმა აიღეს. ესენი მტრის ტყვიას არ შეუშინდნენ, მამაცათ „ურას" ძახილით შესცვივდნენ სიმაგრეზედ და იაპონიის დროშა აღმართეს იქ. ჩინელები უკუ-ქცეულ იქმნენ. მეორე სიმაგრე ინგლისელებმა აიღეს; ცოტა ხანს შემდეგ რუსებმა და გერმანელებმა კიდევ მესამე სიმაგრეზედ მიიტანეს იერიში და გაჰფანტეს ჩინელები. სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ჯარი თანახმად და ერთგულად მოქმედობდა".

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ კრიუგერი ამ თვეში ან დამორჩილდება მათ, ან არა და ტრანსვაალიდგან გაიპარება და ამ რიგად ომი დასრულდებაო. ასეთვე ჰფიქრობს სამხედრო სამინისტროც. თვით მთავარ-სარდალს რობერტს მიუწერია, რომ 16 აგვისტოს მანდ, ლონდონში ვიქმნებით. ასე ჰფიქრობენ ინგლისელები, მაგრამ ბურები სულ სხვა აზრისანი არიან. უკანასკნელი ამბავი, ტრანსვაალიდგან მოსული, ჰმოწმობს, რომ ბურები ჯერ მალე არ გაანებებენ თავს ბრძოლას. ამას ჰმოწმობს, სხვათა შორის, უკანასკნელი ბრძოლაც, როდესაც ბურებს მთელი ერთი რაზმი წაუყვანიათ ტყვედ. თუ მთელი რაზმები მიჰყავთ ბურებს, ეტყობა ჯერ იმდენად არ დასუსტებულან, რომ ბრძოლას თავი მიანებონ. ამბობენ, დიდ მალი ჯარი ბურებისა სრულიად თავს ანებებს ტრანსვაალსა და ხელ-ახლა ორანჟეს რესპუბლიკას და ნატალში მიდისო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში ამ ბოლოს დროს ძალიან შემოიღეს თვით-მოსიარულე ეტლები. ამ ეტლებით უფრო ქალები დაიარებიან. პარიჟში ეხლა ათასობით შეჰხვდებით თვით-მოსიარულე ეტლით მოსეირნე ქალებს. თვით-მოსიარულე ეტლით სეირნობა პარიჟში ეხლა მოდათ არის გადაქცეული. ღარიბი ქალებიც-კი ძვირფას ნივთებსა ჰყიდიან და ამ ახალ ეტლის შეძენას ანდომებენ აღებულ ფულს. ქ-ნი რეჟანი პირველი მანდილოსანი იყო, რომელმაც—საკუთარის თვით-მოსიარულე ეტლით ქუჩაში გაისეირნა. მალე რეჟანს მაღალ საზოგადოების მანდილოსნებმაც მიჰბაძეს და შეიძინეს ეტლები. ასეთის ეტლით სარა ბერნარიც-კი დასეირნობს. უმრავლესობა მანდილოსნებისა თვით-მოსიარულე ეტლით მარტონი დასეირნობენ, მხოლოდ ძაღლები ჰყავთ თან.

* * *

შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები ბულლერის შესახებ. ამ გენერალს ძალიან ჰყვარებია შამპანიური. ამას წინად შემოჰკლებია ეს სასმელი და ლონდონიდგან 20 ვედრო დაუბარებია. ამასთან სიფრთხილისათვის გენერალს მიუწერია ლონდონში, გამოგზავნილს საქონელს ზედ ასე დააწერეთ „სასაქმებელი ზეთიო", რომ მშვიდობიანად მოაღწიოს ამერიკამდე, ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. იმ დღისთვის, როდესაც ჯარისათვის გამოგზავნილ სხვა საქონელთან ერთად ნავთ-სადგურში შამპანიურიც უნდა მოსულიყო, გენერალს უცნობებია იქ მყოფ აფიცრისათვის, 20 ვედრო ზეთი დავიბარე, ეხლა უნდა მოვიდეს და გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთო. რამდენისამე დღის შემდეგ ბულლერს შემდეგი დეპეშა მიუღია აფიცრისაგან: „ჩემდა სამწუხაროდ უნდა გაცნობოთ, რომ თქვენ მიერ დაბარებული სასაქმებელი ზეთი ჯერ არ მოსულა. რადგანაც გესაჭიროებათ ეს ზეთი, ამიტომ დღეს მთელი ქალაქი მოვიარე და მთლად, რაც ზეთი მოიპოვებოდა, ვიყიდე და გიგზავნით. სამწუხაროდ, 18 ვედრაზედ მეტი ვერ ვიშოვნე. თქვენი პატივის-მცემელი" და სხ. რა უთქვამს ბულლერს ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ისტორია არაფერს გადმოგვცემს.

* * *

ამას წინად ბრიუსელის ერთ ცირკში შემდეგი ამბავი მომხდარა. ამ ცირკში ერთი კაცი ყოფილა, რომელიც ქალს შუა ადგილას აყენებდა, იმის თავზედ პატარა ნივთებს აწყობდა, მაგალითად, ლამბაქებს, შუშის ბურთებს და თოფს ესროდა. სხვათა შორის ამას წინად ერთი ქალი გაუყვანია. სწორედ იმ დროს, როდესაც თოფი გაუსროლია, ქალის ქმარი შესულა ცირკში, ქალს თვალი მოუკრავს, შემკრთალა, რის გამო ტყვია ცხვირში მოჰხვედრია, ხოლო იქიდგან ტვინში ასულა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი.

**შანხაი.** „დიდის მუშტის" კაცებმა დააქციეს სამხედრო სკოლა მუკდენში, მანჯურიას; რუსები ამ ქალაქისაკენ მიდიან.

**ჩიფუ.** როგორც უკანასკნელად იუწყებიან, რუსებმა აიღეს ტიან-ძინის თოფ ხანა. იმ ჯარს, რომელმაც ტიან ძინი განათავისუფლა, ექვსი ზარბაზანი ჰქონდა.

**გონკონგი.** ყველა უცხო-ქვეყნელი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს, თუ ეს საჭირო იქმნება, ჩინელების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპიელთა ახალშენის დასაცველად.

**შანხაი.** თან და თან ჩინელი მოხელეები რწმუნდებიან, რომ მანჯურიის დასს დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ მხარი დაუჭირა უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოძრაობას რომელთანაც მას საერთო არაფერი აქვსო.

**ლორენცო-მარკეზი.** როგორც ტრანსვაალის წყაროებიდგან იუწყებიან, დიდი რაზმი ბურებისა გორაკებზედ ჰმაგრდებიან, ლიდერ-ბურგის მეორე მხარეს.

**სიმლა.** ჩინეთში გასაგზავნი ჯარი შესდგება 223 აფიცრისა, 308 უნტერ-აფიცრისა და 9540 ინგლისელ ჯარის-კაცისაგან და ადგილობრივ მცხოვრებთა 7170 აფიცრისა და ჯარის-კაცისაგან. ამ ჯარს მიეცემა 1280 ცხენი და 2060 ჯორი და 17 ზარბაზანი.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის უფროსი იუწყება, რომ ელჩები განსათავისუფლებლად გაგზავნილ ჯართან არიანო.

**ლონდონი.** რუსეთის ადმირალის მიერ გამოგზავნილ ცნობის დასამატებლად „რეიტერის სააგენტო" ჩინურდგან 15 ივნისს იუწყება, რომ სეიმური განთავისუფლებულ იქმნაო. ემუნემ მოახერხა პეკინში შესვლა და ახლა უკან ტრანსვაალში მიდის. იმისი ჯარი ძალიან დაზარალდა. პეკინთან მყოფი ჯარი ჩინეთისა 60,000 იქმნება. „დიდის მუშტის" რაზმები ყოვლის მხრიდგან იკრიბებიან.

**შანხაი.** ტიან-ძინში მყოფი ნემცები უვნებელნი არიან.

**იოკაგამა.** მთავრობამ გადასწყვიტა, გაჰგზავნოს ჩინეთში 20,000 კაცი.

**ბერლინი.** როგორც 12 ივნისს იუწყებიან, ბრძოლა ტიან-ძინში ჯერ არ დასრულებულა, რადგანაც გამაგრებული თოფხანა ქალაქს გარეთ ჩინელების ხელშია.

**შანხაი.** როგორც ჩინეთიდგან იუწყებიან, 1000 იაპონელი ჯარის-კაცი ტაკუში გადმოსხდარან; უნდა გადასხან კიდევ 2000 იაპონელი და საფრანგეთის ქვეითა ჯარის ერთი ბატალიონი.

**იოკაგამა.** იაპონიამ 35 სატრანსპორტო გემი დაიქირავა.

**შანხაი.** ელჩებმა ერთხმად მიიღეს იანცეს მახლობლად მდებარე პროვინციების ვიცე-კოროლების წინადადება. ვიცე-კოროლებმა განაცხადეს, ჩვენ ვიზრუნებთ ჩვენს პროვინციებში წესიერების დასაცველად, თუ სხვა სახელმწიფონი არ ჩაერევიან, ვიდრე მათი ინტერესები არ იქმნება დარღვეული. შესაფერ განცხადებას ელჩებმა ხელი მოაწერეს.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ლი-ხუნგ-ჩანგმა ბრძანება მიიღო პეკინში მისვლისა. მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ, ვიდრე იგი პეკინში ჩავა, მოჰკლავენო.

16 ივნისი

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალმა ალექსეევმა სამხედრო მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, რომ, როგორც საექსპედიციო რაზმის უფროსი იუწყება, 2-დგან 6 ივნისამდე ჯარს ჩინელებთან ბრძოლაში მოუკლეს აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა რაზმის პოდპორუჩიკი ზიოლკოვსკი, მძიმედ დასჭრეს პოდპორუჩიკი პოპოვი, პორუჩიკი სენკო-პოპოვსკი და პოდპორუჩიკი მაკაროვი; ჯარის-კაცი მოკლულ იქმნა ერთი, დაჭრილ—150.

სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ კვანტუნის ოლქის უფროს ადმირალს ალექსეევს მიენიჭა უფლებანი ომიანობის დროის ცალკე კორპუსის უფროსობისა.

**შანხაი.** ცნობები ტიან-ძინში მომხდარ ამბოხების შესახებ გაზვიადებულია; ზარალი მცირეა.

**ჩიფუ.** სეიმური ტიან-ძინშია. მშვიდობიანობაა. უცხო-ქვეყნელთა ზარალი უმნიშვნელოა.

**ლონდონი.** იუწყებიან 19 ივნისს, რომ პეკინში მყოფმა სახელმწიფოთა ელჩებმა ბაშფორთები მიიღესო. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ნანკინის ვიცე-კოროლმა დეპეშა გაუგზავნა ინგლისის ელჩს შანხაიში და აცნობა, 25 ივნისს რესკრიპტი მივიღე, რომელშიაც ნათქვამია რომ უცხო სახელმწიფოთა ელჩებს პეკინში შიში არ მოელით და საიმპერატორო მთავრობას საჭირო ზომები აქვს მიღებული იმათ დასაცველადაო.

**ვეი-ხაი-ვეი.** რკინის გზაზედ მატარებლები ტიან-ძინიდგან ჩრდილოეთისკენ რვა მილის მანძილამდე დაიარებიან, შემდეგ-კი ლიანდაგი წახდენილია.

**ვაშინგტონი.** ჩინეთში გაგზავნილი მე-9 რაზმი შესდგება 39 აფიცრისა და 1271 ჯარის-კაცისაგან.

**ტოკიო.** იაპონიამ გადასწყვიტა, თადარიგის დასაჭერად შეუდგეს ერთის დივიზიის მობილიზაციას. ეს ზომები არა ნიშნავს იმას, ვითომც იაპონია იმ პოლიტიკას გზას უქცევდეს, რომელსაც ჩინეთში ამბოხების დაწყობიდგან დაადგა.

**ლონდონი.** პალატა. კიმბერლეის კითხვაზედ მარკიზ სალისბიურიმ განაცხადა: რამდენადაც ვუწყით, სეიმური განთავისუფლებულ იქმნა და ეხლა უშიშარ მდგომარეობაშია; რაც შეეხება ჩვენს ელჩსა და ჩვენსა და სხვების მისსიებს, ამათ შესახებ არაფერი ვიცით მაგრამ საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ცუდი არაფერი შემთხვევიათ. ყოველის მხრიდგან იქ იმდენი ჯარი იგზავნება, რამდენის გაგზავნაც ამ ჟამად შეიძლება".

**პარიჟი.** პალატა. ნაციონალისტი ფირმენ-ფორი შეეკითხა მთავრობას იმ ახალის დანიშნულებათა შესახებ, რომელიც სამხედრო მინისტრმა მთავარ-შტაბში მოახდინა ამას წინად; ამასთან სთქვა, რომ ანდრემ წესდება დაარღვია, რომლის ძალითაც ასეთის დანიშვნის უფლება მთავარ-შტაბის უდროსსა აქვსო. ორატორმა უსაყვედურა ანდრეს ისეთის აფიცრების დანიშვნისათვის, რომელნიც პიკარის მეგობრებად ითვლებიან. დელნმა, ისარგებლა რა უფლებით, ნება არ მისცა ამ აფიცრებს თანამდებობის აღსრულებას შესდგომოდნენო. ანდრემ განაცხადა, კანონი ნებას მაძლევდა ეს განკარგულება მომეხდინა. დელანმა სამსახურიდგან გადადგომა მოითხოვა, მაგრამ ამას პროტესტის ხასიათი არა ჰქონდა. მე ვუბრძანე დარჩენილიყო და დელანი, როგორც შეჰფერის ჯარის-კაცს, დამემორჩილა. მინისტრმა დაურთო: „მე საგნად გავიხადე ყველანი შევაჩვიო სამხედრო წესსა და რიგის დამორჩილებას და თუ სასჯელი საჭირო იქმნება, არც ამას დავერიდებითო". ანდრემ ბოლოს ჯარი შეაქო. პალატამ უმრავლესობით მოიწონა ანდრეს განკარგულებანი.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

გ

გაბიჯება—ნაბუშრის მოგება. ფშ.

გაბიჯება—გადაჯიშება, უვარგისად გახდომა მცენარისა, რაკი ვადა გადუვა, მაგალითად, სიმინდს თოხნა თუ დაუგვიანდა. ქართ.

გალუფხული — გაწუწული წვიმისაგან. ქართ.

გამობზარული თვალი—გამოთხრილი თვალი. ფშ.

გამოკვანთული—გამოწყობილი. ქართ.

გამოხრუწვა—გაქურდვა. ფშ.

განარდიშება—თავს გასვლა, გახალისება ვიზედმე, დაჩვევა. ფშ.

განიჟება—ინიჟება. ფშ.

გაპოხიერებული—გასუქებული, გაპატივებული.

გარა—ქსლის იარაღი, კეტი შუაზედ გასაყრელი. ფშ.

გარესამხრობა—გარეთ, უსახლ-კაროდ ცხოვრება, ცხვარში, ან ლაშქრობას. ფშ.

გაფხლაკვნა—გაფანთხალება. ფშ.

გასამაგისება—სამ თანასწორედ გაყოფა. ქართ.

გაქშერება—გამეტება, რომ არაფერი დ[...] ენანოს სხვისთვის. ფშ.

გასაგნვა—გაკვრა ისრისა, ან ჯირითისა. ფშ.

გაჭიკნვა—ძალზედ გატენა გუდისა, მულისა, ჯიბისა და სხ. ფშ.

გახანხლვა—ტყუილის გამოცხობა ხელ და-ხელ. ქართ.

გახვლეპა—გაყვლეფა. ქართ.

გახიწნვა სახლისა—სახლიდგან ყველაფრის გაზიდვა შესაჭმელად, ან ფარულად. ქართ.

გვარიანი ღორი—ღორთველიანი ღორი. ქართლ.

გვარი—ღორთველა. ქართ.

გვარშერეული—გადაჯიშებული.

გველანა—თევზია ერთგვარი. ქართ.

გველის ნალოკი ქვა—ბროლი, хрусталь. ფშ.

გვერდალი—გვერდა, დაქანებული ადგილი. ფშ.

გვრინი—თიბვაში მღერის კილო. ფშ. ქ[...]

გვირილა—კვირია, ფრინ. ფშაური. [...]

გონიო—იარაღია კალატოზებისა. ქა[...]

გუგუა—კაკა, სათირებელი ბავშვთა. [...]

გულაკაცი—გულ-მოსული. ქართ.

გულ-არჯალი—გულ-ბოროტი. ქართ.

გუგულის ჯამი—წითელი სოკოა, ჯამებივით ამობრუნვით იცის ამოსვლა ნადირთ დანეხვილზედ ტყეში. (Sordaria) ფშ.

გუგულის კაბა—ყვავ. ფშ.

გულდვარძლი—უწმინდურის გულის მქონებელი, დაუნდობელის ხასიათისა. ქართ.

გულქართლი—პურადი, გამმეტებელი. ფშავ.

გურგულა—პურის გული. ფშ.

გურაბი—მორევი. ფშ.

გურგური—ცეცხლი გურგურებს, როცა ქარი უბერავს, ბურბური.

გურჩი—როდინის ქვა, ფილთაქვა. ფშ.

გარაის საყვანელა—გარას ასაწევ-და[...]ვი კავი. ფშ.

6)

*) იხ. „ივერია" № 128.

## წერილი რედაქციის მიმართ[...]

მადლობას ვუცხადებთ ჩვენს ზედამხ[...] ველ მასწავლებელს ბ-ნ ვლადიმერ ნაცვ[...]შვილს, რომელმაც წაგვიყვანა ჩვენ, [...] თე განყოფილების მოსწავლენი, ქ. ქუთ[...] 6—7 მაისს და გაგვაცნო ქალაქი. აგრ[...] მადლობას ვუძღვნით ქუთაისის სააზნა[...] სკოლის აღმზრდელს ბ-ნ ბენედიქტე მა[...]რიას, რომელმაც, ქუთაისში ყოფნის დ[...] დაგვირიგა საჩუქრად თითოეულ მოსწ[...] თითო რუსული და ქართული წიგნი.

ტობანიერის ორ-კლასიანი სამინ[...] სასწავლებლის მეხუთე განყოფილები[...] სწავლენი: ივანე ბურკაძე, ვარლამ ნაფეტ[...]ვარიძე, იესე ბახტაძე, გიორგი ბურკაძე, პარმენ ბურკაძე, გრიგოლ ნაფეტვარიძე, ელისე ბურკაძე, ლუკა თევზა[...]


## განცხადებანი

თვით-მოძრა[...] ელევატორი[...] ხან-აგოვის[...]



ასეთს ელევატორს დღე და ღამ [...] ნუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-[...]ვად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხ[...]ვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, [...]тербургская улица, № 12.

(15—102—1[...])